

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №16

2015 წლის 19 ივნისი

ქ. ბორჯომი

„ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის №53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის №53 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 01/01/2015, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.139.016169).

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართის პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. ბორჯომის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ბორჯომის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი				2015 წლის გეგმა	
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	12.661.4	13.878.1	2.921.2	10.957.0	13.286.4	3.136.4	10.150.0
გადასახადები	4.186.8	2.921.8	0,0	2.921.8	2.690.0	0.0	2.690.0
გრანტები	4.870.8	3.095.4	2.921.2	174.2	3.326.4	3.136.4	190.0
სხვა შემოსავლები	3.603.8	7.861.0	0,0	7.861.0	7.270.0	0.0	7.270.0
ხარჯები	7.758.4	8.884.1	487.4	8.396.7	9.675.9	457.8	9.218.1
შრომის ანაზღაურება	1.706.0	1.912.9	0,0	1.912.9	1.712.1	0,0	1.712.1
საქონელი და მომსახურება	2.649.7	2.989.6	487.4	2.502.2	2.021.9	1.0	2.020.9
პროცენტი	66.0	55.4	0,0	55.4	43.3	0,0	43,3



სუბსიდიები	1.886.1	2.633.7	0,0	2.633.7	3.432.3	0,0	3.432.3
გრანტები	0.0	0,0	0,0	0,0	549.8	0	549.8
სოციალური უზრუნველყოფა	1.385.1	1.161.7	0,0	1.161.7	1.118.2	0,0	1.118.2
სხვა ხარჯები	65.4	130.8	0,0	130.8	798.2	456.8	341.5
საოპერაციო საღდო	4.903.0	4.994.0	2.433.8	2.560.2	3.160.2	2.678.6	931.9
არაფინანსური აქტივების ცვლილება	4.730.8	5.261.2	2.925.0	2.336.1	4.675.6	2.873.4	1.802.2
ზრდა	4.852.7	5.417.2	2.925.0	2.492.2	4.735.6	2.873.4	1.862.2
კლება	122.0	156.1	0.0	156.1	60,0	0,0	60,0
მთლიანი საღდო	172.3	-267.1	-491.3	224.1	-1.065.1	-194.8	-870.3
ფინანსური აქტივების ცვლილება	87.7	-362.4	-491.3	128.9	-1.451.7	-194.8	-1.256.9
ზრდა	519.8	128.9	0,0	128.9	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	519.8	128.9		128.9	0,0		
კლება	432.1	491.3	491.3	0,0	1.451.7	194.8	1.256.9
ვალდებულებების ცვლილება	-84.6	-95.2	0.0	-95.2	-386.6	0	-386.6
კლება	84.6	95.2	0.0	95.2	386.6	0	386.6
საშინაო	84.6	95.2	0.0	95.2	386.6	0	386.6
ბალანსი	0.0	0.0	0,0	0,0	0.0	0.00	0.00

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მეორე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 2. ბორჯომის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ბორჯომის ბიუჯეტის შემოსულობები 13.346.4 ათ, ლარით, გადასახდელები 14.798.0 ათ.ლარით და ნაშთის ცვლილება -1.451.7 ათ.ლარით, თანდართული რედაქციით:



დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	12.783.3	14. 034.2	2. 921.2	11.113.0	13.346.4	3.136.4	10.210.0
შემოსავლები	12.661.4	13. 878.1	2. 921.2	10.957.0	13.286.4	3.136.4	10.150.0
არაფინანსური აქტივების კლება	122.0	156.1	0,0	156,1	60.0	0.0	60.0
ფინანსური აქტივების კლება	0,0	0,0	0,0	0,0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0,0	0,0	0,0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	12.695.6	14. 396,6	3 .412,4	10 .984.1	14.798.1	3.331.2	11.466.9
ხარჯები	7.758.4	8. 884.1	487.4	8. 396.7	9.675.9	457.8	9.218.1
არაფინანსური აქტივების ზრდა	4.852.7	5. 417.2	2. 925.0	2. 492.2	4.735.6	2.873.4	1.862.2
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0.0	- 362.4	-491.3	128.9	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	84.6	95.2	0,0	95.2	386.6	0.0	386.6
ნაშთის ცვლილება	87.7	- 362.4	-491.3	128.9	-1.451.7	-194.8	-1.256.9

3. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მესამე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 3. ბორჯომის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 13.286.4 ათასი ლარის ოდენობით:

	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი		2015 წლის გეგმა	
			მათ შორის		მათ შორის



დასახელება	სულ	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	12.783.3	13.878.1	2.921.2	10.957.0	13.286.4	3.136.4	10.150.0
გადასახადები	4.186.8	2.921.8	0,0	2.921.8	2.690.0	0.0	2.690.0
გრანტები	4.870.8	3.095.4	2.921.2	174.2	3.326.4	3.136.4	190.0
სხვა შემოსავლები	3.603.8	7.860.989	0,0	7.861.0	7.270.0	0.0	7.270.0

4. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მეოთხე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
"მუხლი 4. ბორჯომის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 2.690.0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა
გადასახადები	4.186.8	2.921.8	2.690.0
ქონების გადასახადი	2.655.4	2.921.8	2.690.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1.033.6	1.257.3	1.410.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0.0	82.0	0.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	184.2	179.1	30.0
სასოფლო-სამეურთეო დანიშნულების მიწაზე	207.1	124,5	100.0
არასასფლო-სამეურნეო მიწაზე	1.230.6	1.266.5	1.150.0
სხვა გადასახადები ქონებაზე	0.0	12.3	0.0
სხვა გადასახადები	1.531.4	0.0	0.0

5. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მეშვიდე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
"მუხლი 7. ბორჯომის ბიუჯეტის ხარჯები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 9.975.9 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

	2013	
--	------	--



დასახელება	წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	7.758.4	8.884.1	487.4	8.396.7	9.675.9	457.8	9.218.1
შრომის ანაზღაურება	1.706.0	1.912.9	0.0	1.912.9	1.712.1	0,0	1.712.1
საქონელი და მომსახურება	2.649.7	2.989.6	487.4	2.502.2	2.021.9	1.0	2.020.9
პროცენტი	66.0	55.4	0.0	55.4	43.3	0,0	43.3
სუბსიდიები	1.886.1	2.633.7	0,0	2.633.7	3.432.3	0,0	3.432.3
სოციალური უზრუნველყოფა	1.385.1	1.161.7	0,0	1.161.7	1.118.2	0,0	1.118.2
სხვა ხარჯები	65.4	130.8	0,0	130.8	798.2	456.8	341.4

6. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მეცხრე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
 „მუხლი 9. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა 14.351.5 ლარით ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	40.0	2.563.4	0.0	2.563.4	2.640.5	0,0	2.640.5
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	29.3	545.2	98.0	447.3	460.8	0.0	460.8



ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	3.969.7	4.179.5	2.325.6	1.853.9	6.460.4	2.903.4	3.557.0
განათლება	0.0	1.009.0	0.0	1.009.0	1.143.5	0,0	1.143.5
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	813.7	2.334.1	501.5	1.832.6	2.366.1	427.8	1.938.3
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	-	1.358.4	0,0	1.358.4	1.105.9	0,0	1.105.9
სულ	4.852.7	14.301.3	3.412.4	10.888.9	14.411.5	3.331.2	11.080.3

7. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მეათე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 10. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -1.065.1 ათასი ლარის ოდენობით."

8. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მეთერთმეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 11. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -1.451.7 ათასი ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 1.451.7 ათასი ლარის ოდენობით."

9. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მეთორმეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 12. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -386.6 ლარის ოდენობით."

10. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მეცამეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 13. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 78.7 ათასი ლარის ოდენობით."

11. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მეთოთხმეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 190.0 ათასი ლარი, მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 84.5 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 100.5 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 5.0 ათასი ლარი;

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადასაწილება."

12. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მეთხუთმეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების 1.118.2 ათასი ლარის განკარგვა ხორციელდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად."

13. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მეთექვსმეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით ქ. ბორჯომში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები. პერსონალისათვის სათანადო წვრთნების ჩატარება და პროფესიული ღონის ამაღლება. არსებული რესურსების ფარგლებში კომუნალური პირობების გაუმჯობესება და პერსონალის



სივრცის დაზღვევა. შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა და სარეზერვო ძალების მობილიზება.

მოსახლეობის სტიქიური მოვლენების, უბედური შემთხვევების და სხვა საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში დახმარების გასაწევად სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს სამაშველო სამსახურის ოპერატიული მოქმედება, მათი მზადყოფნა დროული და სათანადო დახმარების აღმოსაჩენად. აუცილებელია პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა. პერსონალისათვის სათანადო ხარისხის ინდივიდუალური და ჯგუფური წვრთნების ჩატარება და პროფესიული დონის ამაღლება.

1.1 საგანგებო სიტუაციების მართვა (პროგრამული კოდი 02 01)

ხანძრისა და სტიქიური უბედურების შემთხვევების დროს მოსახლეობისა და მათი ქონების დასაცავად ადგილზე დროული მისვლა და კვალიფიციური დახმარების აღმოჩენა; საგანგებო სიტუაციების სალიკვიდაციო სამუშაოების განხორციელება.

1.2 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით ხორციელდება მოსწავლეთა პირველადი აღრიცხვა, წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება და სამედიცინო შემოწმება. ასევე სარეზერვო ძალების მობილიზება

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების მოასფალტება და განათება, დასასვენებელი პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, სასამელო წყლის სისტემების და სახურავების რეაბილიტაცია, სოფლებში სასამელო წყლის სისტემების მოწყობა და რეაბილიტაცია. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების, ხიდების, ქუჩის ფეხით სავალი ნაწილების რეაბილიტაცია, ცენტრალური და შიგასაქალაქო გზების მოწესრიგება.

2.1.1 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება და ახალი, მეორე მნიშვნელობის გზებისა და შიგა საქალაქო გზების რეაბილიტაცია, განხორციელდება ქ. ბორჯომში შიგა ქუჩების კერძოდ შრომის, მერჯულეს, წმ.ნინოს, ხანძთელის, 300 არაგველის, ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სანაპირო, სასაფლაოს და მოქცევის მისასვლელი გზის, სოფ.მზეთამზის, დაბა ბაკურიანის, 9 აპრილის ქუჩის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.მოეწყობა სიჩქარის შემზღუდავი ბარიერები ქალაქის ტერიტორიაზე.

2.1.2 ფეხით სავალი ნაწილის მოპირკეთება. მოსაცდელების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 01 02)

ქვეპროგრამით განხორციელდება ბორჯომში კოსტავას, რუსთაველის, 9 აპრილის, რობაქიძის, გამსახრდიას ქუჩების, ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სანაპიროს, კოსტავას მოედანის ფეხით სავალი ნაწილის მოპირკეთება და მოაჯირების მოწყობა. ქალაქში განხორციელდება მოსაცდელების მშენებლობა რაც განაპირობებს ქალაქის იერსახის სრულყოფას.

2.1.3 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხიდების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 01 03)

ქვეპროგრამით განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხიდების აღდგენა, კერძოდ განხორციელდება სილამაზის, მტრედის, რუსთაველის მოედნის მიმდებარე.ცოფიან ღელეზე.სოფელ ყვიბისის, ჩითახევის ახალი კიდული ხიდების, რეაბილიტაცია.

2.1.4 გარე-ვიდეო სამეთვალყურეო, სიჩქარის რადარების შექმნა-დამონტაჟება და სიჩქარის ბარიერების მოწყობა (პროგრამული კოდი 03 01 04)

ქვეპროგრამით განხორციელდება სიჩქარის ბარიერების მოწყობა ავტოსაგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით და დამონტაჟდება ვიდეო-კამერები ქ. ბორჯომის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიაზე.

2.1.5 ქუჩების გაწმენდა თოვლისა და ყინულის საფარისაგან (პროგრამული კოდი 03 01 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების ტექნიკური მარილით დამუშავება და გაწმენდა.ხოლო დიდთოვლიანობის შემთხვევაში ჭარბი თოვლისაგან გათავისუფლება.

2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, დასუფთავების ღონისძიებები, კანალიზაციის სისტემის მოწყობა, სანიაღვრე არხების მოწყობა-მოვლა, წყლის სისტემის რეაბილიტაცია, სარწყავი არხების მოწყობა-რეაბილიტაცია, საკადასტრო რუკების მომზადება, მუნიციპალური და რეგიონული განვითარების სააგენტოს ხელშეწყობის, ინფრასტრუქტურული პროექტების და ამხანაგობების თანადაფინანსება.

2.2.1 წყალსადენებისა და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა (პროგრამის კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია, მოსახლეობის 24 საათიანი, სუფთა წყლით უზრუნველყოფა, ასევე საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა. განხორციელდება წყალსადენისა და კანალიზაციის მოწყობა აღმაშენებლის რუსთაველის, მესხეთის, რაზმაძის და ნიკოლაძის ქუჩებზე, სოფელებში: რველში, ყვიზისში, კორტანეთსა და ვარდგინეთში, დაბა ბაკურიანში.

2.2.3 საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის რემონტი და სოფ. ჭობისხევში ამბულატორიის ოთახის მოწყობა.

2.2.4 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საცხოვრებელი სახლების ბრტყელი და ქანობიანი სახურავების შეკეთება, ლიფტების, კომუნიკაციების, სადარბაზოების, ფსადების, კიბეების, თაღების, შენობების კაპიტალური გამაგრების, აივნების, მიწისქვეშა ავტოსადგომების, საერთო სარგებლობის ჭიშკრის ან სადარბაზოს კარების, მიშენებების მდგრადობის განსაზღვრის, სადარბაზოებში მოძრაობის სენსორული სანათების დამონტაჟების, შენობების კაპიტალური გამაგრების სამუშაოები. სამუშაოების, სადარბაზოებში შესასვლელის გაღების ვიდეო/აუდიო სისტემის დამონტაჟების სამუშაოები საცხოვრებელი სახლების ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსებით. სახურავებისა და შენობების რეაბილიტაცია განხორციელდება გოგისა ციხის, ნიკოლაძის, დუმბაძის, გამსახურდიას,თორის ქუჩებზე.

2.2.5 საყრდენი კედლების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)

ქვეპროგრამით განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყრდენი კედლების მოწყობა. კერძოდ: ბორჯომის მუნიციპალიტეტში რუსთაველის, ორბელიანის, ნიკოლაძის, ბესიკის, ერეკლეს ქუჩებზე საყრდენი კედლების რეაბილიტაცია, სოფელ ყვიზისში და დაბა წაღვერში გაბიონების მოწყობა.

2.2.6 ნარჩენების შეგროვება, გატანა კეთილმოწყობის ობიექტების დასუფთავება, ნაგავზიდი სპეც. მანქანის და სანაგვე ურნების შესყიდვა (პროგრამული კოდი 03 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ასევე საცხოვრებელი კორპუსების შიდა ბუნკერების და გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება. ექსპლოატაციაში შევა ახალი ნაგავსაყრელი სრული დატვირთვით, რაც გააუმჯობესებს ქალაქის სანიტარულ და ეკოლოგიურ მდგომარეობას. ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების ტენიკური მარილით დამუშავება, ხოლო დიდთოვლიანობის შემთხვევაში ჭარბი თოვლისგან გათავისუფლება. განხორციელდება არსებული გამწვანების მოვლა-პატრონობა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება, ასევე განხორციელდება არსებული სანიაღვრე და სარწყავი არხების ექსპლოატაცია, მოხდება მტკვრის კალაპოტის გაწმენდა.შეძენილი იქნება სანაგვე ურნები და კონტეინერები.

2.2.5. გარე განათების მოვლა პატრონობა, გარე განათების ბოძების მონტაჟი, დეკორატიული განათებების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 07)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქალაქის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რეაბილიტირებულ გზებზე და შიდა კვარტალურ ეზოებში ახალი სანათი წერტილების მოწყობა, ახალ ქსელზე დაერთება, კერძოდ განხორციელდება აკაკის, ხანძთელის ქუჩებზე, 9 აპრილის ქუჩიდან სანატორიუმ პლატომდე გარე განათების მოწყობა.განხორციელდება საახალწლო გარე -განათების დემონტაჟი.

2.2.6 სარიტუალო დარბაზების კეთილმოწყობა ჭურჭლის შეძენა, სასაფლაოების და ეკლესიების შემოღობვა (03 02 08)

აღნიშნული პროგრამით განხორციელდება სოფ. ტაძრისში მდებარე სარიტუალო სახლის შესაბამისი ინვენტარით უზრუნველყოფა.

2.2.9 სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 09)

ქვეპროგრამით განხორციელდება სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრა, დაზიანებული შენობების გაწმენდა რეაბილიტაცია. დაზარალებული მოსახლეობის დახმარება. ტყის მასივში გაჩენილი ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოები.განხორციელდება მესხეთის ქუჩაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული შენობის სახურავის რეაბილიტაცია.

2.3 ქალაქის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, შადრევნების მოწყობა, მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, საგზაო ნიშნების გადასასვლელებისა და ფეხით მოსიარულეთა ტროტუარების მოწყობა, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება, ქალაქის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები.

2.3.1 სანიაღვრე და სარწყავი არხების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქში ახალი სანიაღვრეების მიერთება ცენტრალურ სისტემებთან. განხორციელდება სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია ნინოშვილის და ხანძთელის ქუჩის კვეთაზე, სოფლებში ჩითახევსა და ჭობისხევში.

2.3.2 სკვერების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 02)



ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობა და მათი კეთილმოწყობა, მოწესრიგდება გამწვანების ზოლები. განხორციელდება სკვერების კეთილმოწყობა რუსთაველის, მესხეთის ქუჩებზე, მტრედის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე.

2.3.3 ატრაქციონებისა და სპორტული მოედნების მოწყობა(პროგრამული კოდი 03 03 03)

ქვეპროგრამით განხორციელდება ქალაქის ტერიტორიაზე სკვერებში საბავშვო ატრაქციონების მოწყობა. ქალაქის ტერიტორიაზე განხორციელდება სპორტული მოედნების მშენებლობა.

2.3.4. სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 03 04)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სასაფლაოს მოვლა-პატრონობას, ხეების მოჭრას გადაბეღვას და დასუფთავებას.

2.2.5 სამშენებლო სარემონტო, სახარჯთაღრიცხვო და საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა (პროგრამული კოდი 03 03 05)

ქალაქში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესების გათვალისწინებით შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. ხოლო საჭიროების შემთხვევებში აუცილებელია შესაბამისი გეოლოგიური კვლევების წარმოებაც. ასევე აუცილებელია სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

2.4. ვეტერინარული მომსახურების პროგრამა (პროგრამული კოდი 03 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლებში და საძოვრებზე ვეტერინარული მომსახურება. ბიოლოგიური და ქიმიურ-ფარმაცევტული საშუალებებით ცხოველთა დაავადებების პროფილაქტიკა და დიაგნოსტიკა. საძოვრებზე მიველინებიან ვეტერინარი სპეციალისტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ცხოველებისათვის საშიში გადამდები სნეულებების კერების ლოკალიზებას.

2.5 სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფლებისთვის პრიორიტეტული სოციალურ-ეკონომიკური პროექტები. აღნიშნულ სამუშაოებში ჩართული იქნება სოფლის მოსახლეობა. პროგრამით გათვალისწინებული თანხა წარმართება სოფლის პირველი რიგის სოციალ-ეკონომიკური საჭიროებათა დასაფინანსებლად.

2.6 ტრანსპორტის სუბსიდირება (პროგრამული კოდი 03 06)

კვლავ აქტუალური რჩება შიდა საქალაქო ტრანსპორტის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. საწვავისა და მარაგ ნაწილების სულ უფრო მზარდი ფასები ასახავს პოულობს მგზავრობის საფასურზე. პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა შიდასაქალაქო ტრანსპორტით მოსარგებლე მოსახლეობისათვის არსებული ტარიფის შენარჩუნება შესაბამისი ორგანიზაციის სუბსიდირების გზით.

განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა.

3.1 ააიპ „ბორჯომის ჯანმრთელი მომავალი“(პროგრამული კოდი 04 01)

ბორჯომის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 11 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 450 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს, ინვენტარისა და ავეჯის შეძენას. დაბა ბაკურიანში ფუნქციონირებს საბავშვო ბაღი, სადაც ირიცხება 110 ბავშვი, ასევე ყველა ხარჯი ფინანსდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. განხორციელდება ბაღების რეაბილიტაცია, კერძოდ ბორჯომში მე-4, სოფელ ყვიზისში, დაბა ახალდაბაში საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია.

3.2.საჯარო სკოლების ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 04 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ბორჯომის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხარჯები და ასევე თანადაფინანსებით მოხდება საკლასო ოთახის რეაბილიტაცია.

4. კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, თვითმმართველობა განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდობში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.



4. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა მომავალი სპორტული თაობის აღსაზრდელად. ასევე განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა ნიჭიერი სპორტსმენების აღზრდისა და წახალისების მიზნით.

4.1.1 ააიპ „ბორჯომის სკოლისგარეშე სასპორტო გაერთიანება“ (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამა მოიცავს ააიპ „ბორჯომის სკოლისგარეშე სასპორტო გაერთიანების“ 410-მდე სპორტსმენის დაფინანსებას, გაერთიანება მოიცავს სპორტის 15 სახეობას და უზრუნველყოფს ამ სახეობების განვითარებას, მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმას და მათთვის საწვრთნელი პირობების შექმნას. უზრუნველყოფს სპორტსმენტთა სხვადასხვა ტურნირებში მონაწილეობას.

4.1.2. სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამით განხორციელდება მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ტურნირები კალათბურთში, ფრენბურთში სკოლის მოსწავლეთა შორის, მხიარული სტარტები და მინი-ფეხბურთი მოსწავლეთა შორის, რესპუბლიკური ტურნირები ძიუდოში, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, მოხდება წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოება წახალისება მიღწეული შედეგებისათვის. 2014 წელს განხორციელდება შემდეგი სპორტული ღონისძიებები:

- ვაჟთა ტურნირი კალათბურთში სკოლის მოსწავლეთა შორის;
- ტურნირი ფრენბურთში (გოგონები და ვაჟები);
- ფრენბურთის ტურნირი გოგონებს შორის;
- მინი-ფეხბურთი;
- ბორჯომის მუნიციპალიტეტის მინი-ფეხბურთის საზაფხულო ტურნირი მოყვარულთა შორის;
- ფრენბურთის ტურნირი (წარმოება დაწესებულებებს შორის);
- კალათბურთი (უზნების ჩემპიონატი მოყვარულთა შორის);
- ჭადრაკის ტურნირი;
- ქართული ჭიდაობა (სკოლების პირველობა).

განხორციელდება ბორჯომის საფეხბურთო კლუბის „ბორჯომი-2013“-ის დაფინანსება. საფეხბურთო გუნდის შექმნამ ხელი შეუწყო ქალაქში სპორტის, კერძოდ ფეხბურთის პოპულარიზაციას.

4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

4.2.1 სამუსიკო სკოლა (ქვეპროგრამის კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მუსიკალური სკოლა, სადაც სწავლობს 238 მოსწავლე. ასევე ფინანსდება მუსიკალურ სკოლასთან არსებული ანსამბლი „ბორჯომი - 2012“. პროგრამის მიზანია მისცეს მოსწავლეებს დაწყებითი სამუსიკო განათლება და აზიაროს მუსიკალური ხელოვნების საფუძვლებს.

4.2.2 საბიბლიოთეკო გაერთიანება (ქვეპროგრამის კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანება“, სადაც ხდება ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მუშაობის ხელშეწყობა, წიგნადი ფონდების შევსება, დაკომპლექტება და სრული აღრიცხვა, ყველა ასაკის მკითხველის მომსახურება საჭირო ინფორმაციით და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით. ასევე მოხდება საბიბლიოთეკო გაერთიანების ახალი შენობის რეაბილიტაცია.

4.2.3 კულტურისა და ხელოვნების ცენტრი (ქვეპროგრამის კოდი 05 02 03)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს: ააიპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრის“ მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დაფინანსებას, როგორებიცაა: ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა, თეატრის აღორძინება, ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობის ხელშეწყობა, სამუსიკო და ქორეოგრაფიული ნიმუშების შესწავლისა და პოპულარიზაციისათვის სათანადო პირობების შექმნა.

4.2.4 თოჯინების თეატრი (პროგრამული კოდი 05 02 04)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ააიპ „ბორჯომის თოჯინების თეატრი“ რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა ღონისძიებების გამართვას, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას ქალაქის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. სსიპ თოჯინების თეატრის მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დაფინანსებას, როგორებიცაა: მხატვრული აღზრდის პროპაგანდა, ეროვნული თეატრალური ხელოვნების განვითარება, სასცენო ხელოვნების განმტკიცება, ტრადიციების აღორძინება და განვითარება, ზოგადსაკაცობრიო იდეალების, ბავშვებში ზნეობრივი და სულიერი სამყაროს გამდიდრება და პატრიოტული სულისკვეთების განმტკიცება. 2015 წელს თეატრი გეგმავს ოთხი ახალი სპექტაკლის დადგმას:

- „სამყაროს დაბადება“- საბავშვო ბიბლიის მოტივებზე.
- „ადამიანი ობოლა“-კოპროდუქცია.
- „მძინარე მზეთუნახავი“-დისნეის პროექტი.



- „წიქარა“- ქართული ხალხური ზღაპარი.

4.2.5 კულტურული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და სადღესასწაულო ღონისძიებების მოწყობა:

1. ბაკურიანობა,
2. ინტელექტუალური თამაში „ცხრაწყარო 2015“,
3. ფაშინშე გამარჯვების 70 წლისთავისადმი აღსანიშნავი ზეიმი,
4. დამოუკიდებლობის დღე – 26 მაისი,
5. მუსიკის შემსრულებელთაპირველი ეროვნული კონკურსი,
6. გიორგი ათონელის ხსენების დღე,
7. ბორჯომობა – 2015,
8. ტიმოთისუბნის ტაძრის 800 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება,
9. აფხაზეთის დღე,
10. მასწავლებლის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება
11. წინასაშობაო ღონისძიება.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის წარმომადგენლობა, რომელიც მიზნად ისახავს არამატერიალური კულტურის ცენტრად აღიარებული უნიკალური ქართული სიმღერის გადარჩენას, შენახვას, პოპულარიზაციას და მომავალი თაობებისთვის გადაცემას, ასევე დაფინანსდება ეტალონში გამარჯვებული ბავშვი ყოველთვიური სტიპენდიით.

4.2.6 ბორჯომის ცენტრალური ისტორიული პარკის მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 05 02 06)

ქვეპროგრამით განხორციელდება ა (ა) იპ „ბორჯომის ცენტრალური პარკის“ დაფინანსება ბორჯომის ცენტრალური პარკის მოვლა-პატრონობა და იერსახის შენარჩუნება. განხორციელდება ტურნიკეტების შექმნა რომელიც განთავსდება პარკის ტერიტორიაზე არსებულ ატრაქციონებთან.

4.3. ბორჯომ-ბაკურიანის ეპარქია (პროგრამული კოდი 05 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება თვითმმართველობის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

4.4 საინფორმაციო მომსახურება (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამით განხორციელდება განცხადებებისა და ინფორმაციის გამოქვეყნება პრესაში, ტელევიზიასა და ინტერნეტპორტალებში, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდებას. დაფინანსდება სატელევიზიო გადაცემა „ეტალონი“.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

5.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;
- დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;
- ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშამშვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;
- მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით ბორჯომის მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და მხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

5.1.1 ჯანდაცვის ცენტრი (პროგრამული კოდი 06 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ზედამხედველობის სისტემით მიღებული მონაცემების რეგისტრაცია, შეფასება, დაზუსტება, სტატისტიკური ანგარიშგება და გადაცემა დადგენილი წესის მიხედვით, პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა-ანგარიშგება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდებ დაავადებებზე ინფორმაციის დამუშავება და მათი პრევენცია. იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების



ფაუნის გავრცელების შესწავლა, დადგენა პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა, საგანმანათლებლო საადმინისტრაციო მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ზედამხედველობა. ქვეპროგრამის განხორციელებისას მნიშვნელოვანია ინფორმაციის მიწოდება ლექციურად, ბეჭდურად, რომელსაც მოზარდები თვითონაც განახორციელებენ, აქტიურად ჩაებმებიან უსაფრთხო ქცევების პოპულარიზაციის ხელშეწყობ ღონისძიებებში, სპორტულ აქტივობებში, ტრენინგებში.

2015 წელს განხორციელდეს სტრატეგიული მუნიციპალური პროგრამა - სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ჰელმინთებით ინვაზიების პროფილაქტიკისა და მკურნალობის ხელშეწყობის ადგილობრივი მუნიციპალური პროგრამა.

პროგრამის ბენეფიციარი იქნება ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 3-დან 6-მდე წლის ასაკის ჩათვლით 500-მდე მოზარდი, რომლებსაც ანტიჰელმინთური პრეპარატის პროფილაქტიკური და სამკურნალო დოზის გაცემის წინ ასევე ჩაუტარდებათ უფასო სამედიცინო მარტივი გამოკვლევა გამჭვირვალე პოლიეთილენის მწებავი ლენტით, გამოკვლევა მოხდება ორგანიზებულად სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში. პროგრამის ფარგლებში ასევე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში იწარმოებს პოლიეთილენის გამჭვირვალე მწებავი ლენტით იატაკის, კარის სახელოვნების, სათამაშო ინვენტარის გამოკვლევა ენტერობიოზის კვრცხვებზე.

ინვაზიების შემთხვევაში დაავადებულ ბავშვზე გაიცემა ანტიჰელმინთური მედიკამენტის სამკურნალო დოზა, ხოლო ოჯახის წევრებზე და კონტაქტირებულებზე პროფილაქტიკური დოზები.

5.1.2 დერატიზაციის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მღრღნელების და ინფექციის გადამტანი ცხოველების ლიკვიდაცია. ნაგვის ბუნკერების, ნაგვის შემკრები კონტეინერების, ნაგავსაყრელზე სადებინფექციო დერატიზაციის და დეზინსექციის სამუშაოების ჩატარება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება; ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა.

5. 2 მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

5.2.1 სოციალურად დაუცველი ფენის სტაციონალური სამედიცინო მომსახურება (პროგრამული კოდი 06 02 01)

აღნიშნული ქვეპროგრამით დაფინანსდებიან სოციალურად დაუცველი პირები, რომლებიც რეგისტრირებული არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და უკანასკნელი 3 წლის მანძილზე (კანონით დადგენილი გადამოწმების ვადა) მინიჭებული აქვთ სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი სარეიტინგო ქულა 70000-დან 160 000 ქულამდე და საჭიროებენ სამედიცინო დახმარებას.

მოსახლეობის სტაციონარული სამედიცინო დახმარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში აღნიშნული კატეგორიის ბენეფიციარების დაფინანსება განისაზღვრება შემდეგი სახით:

- 1 000 ლარამდე სამედიცინო მომსახურება დაფინანსდება - 100%-ით.
- 1 001 ლარიდან - 3 000 ლარამდე დაფინანსდება 80 %-ით
- 3 001 ლარის ზევით 70 %-ით

ის ბენეფიციარები, რომელთა სარეიტინგო ქულა 70000–ზე ნაკლებია დაფინანსდებიან სრულად.

დაფინანსდებიან ასევე ის პირები, რომლებიც არ არიან რეგისტრირებული „ სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში“, მაგრამ საჭიროებენ სამედიცინო სტაციონარულ მომსახურებას. ამ კატეგორიის ბენეფიციარების დაფინანსება განისაზღვრება შემდეგი სახით:

- 1000 ლარამდე სამედიცინო მომსახურება დაფინანსდება 50%-ით.
- 1001 ლარიდან 3000 ლარამდე დაფინანსდება 70%-ით.
- 3001 ლარის ზევით 80%-ით.
- მაქსიმალური გასაცემი თანხა განისაზღვროს 5000 ლარით.

დაფინანსება გათვალისწინებულია საყოველთაო და ნებისმიერი სხვა დაზღვევის ფარგლებში ზღვრული დაფინანსების ზემოთ დარჩენილ თანხაზე ხოლო ის სტაციონალურ მომსახურება, რომელიც არ ფინანსდება არც ერთი სადაზღვევო კომპანიის მიერ დაფინანსდება 50%-ით. (ასევე დაფინანსებას არ დაექვემდებარება ესთეტიკური ქირურგია და კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობა), აგრეთვე დაფინანსება არ განხორციელდება (გეგმიური ოპერაციები) იმ სამედიცინო დაწესებულებათა მიმართებაში, თუ ისინი არ მონაწილეობენ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში. დაფინანსების მისაღებად წარმოდგენილი უნდა იქნას: საყოველთაო დაზღვევის შემთხვევაში მომართვის ფურცელი, სადაც მითითებული იქნება პროგრამის მიერ დაფინანსებული და პაციენტის მიერ დაფინანსებული თანხა, სამედიცინო დაწესებულებიდან ფორმა #100 და ანგარიშ–ფაქტურა (დედანი), და პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და განცხადება.

ბენეფიციარების სტაციონალური დაფინანსება მოხდება წელიწადში ერთჯერადად.

5.2.2 უფასო სასადილოს დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი მოსახლეობისა და სხვა უმწეო მდგომარეობაში მყოფი, კერძოდ მოძრაობის უნარშეზღუდული, მარტოხელა, ინვალიდი, ასაკით პენსიონერების და უმუშევართა, სულ 260 ბენეფიციარის



1. ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები (პროგრამული კოდი 06 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება, თითოეულ ბენეფიციარზე 250 ლარის ოდენობით იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება, თითოეულ ბენეფიციარზე 100 ლარის ოდენობით.

